ხელშეკრულება #.....

საგრანტო თანადაფინანსების შესახებ

ქ. თბილისი .....

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო („სააგენტო“) ს/კ 204582521, წარმოდგენილი თავმჯდომარის, ავთანდილ კასრაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ..... ს/კ ....., წარმოდგენილი მისი დირექტორის ..... სახით („გრანტის მიმღები“), ერთად წოდებულნი, როგორც „მხარეები“

იმის გათვალისწინებით, რომ

(1) საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის, #1-1/73 ბრძანების შესაბამისად, ახორციელებს ’“თანადაფინანსების საგრანტო პროგრამას“;
(2) გრანტის მიმღებმა დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის ..... საბოლოო შეფასების საფუძველზე გაიმარჯვა „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ საგრანტო პროგრამის მერვე რაუნდში;
(3) გრანტის მიმღებმა დააკმაყოფილა თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელოთი დადგენილი პირობები და სააგენტოს საგრანტო თანადაფინანსების საფუძველზე განახორციელებს დანართი №1-ით გათვალისწინებული პროექტს („პროექტი“);

ვდებთ წინამდებარე საგრანტო თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულებას („ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სააგენტოს საგრანტო დაფინანსების საფუძველზე გრანტის მიმღების მიერ საგრანტო თანადაფინანსების „პროექტის“ განხორციელება.

მუხლი 2. მხარეთა განცხადებები

2.1 გრანტის მიმღები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გამოხატავს თანხმობას, რომ:

ა) სააგენტო უფლებამოსილია გაასაჯაროოს გრანტის მიმღების შესახებ ისეთი, ინფორმაცია, როგორიცაა სახელწოდება, მისამართი, პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია, და სხვა, რომელიც არ შეიცავს გრანტის მიმღების კომერციულ საიდუმლოებას. გრანტის მიმღები ვალდებულია მის მიერ სააგენტოსთვის მოწოდებული ინფორმაციაზე, რომელიც შეიცავს კომერციულად საიდუმლო ინფორმაციას, მიუთითოს კონფიდენციალურობის შესახებ;

ბ) დაუშვებს სააგენტოს/ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებს ან/და მათ მიერ დანიშნულ აუდიტორს, ანგარიშების, ჩანაწერებისა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის შემოწმების მიზნით;

გ) უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველზე.

დ) პროექტის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში, სააგენტოსთვის უზრუნველყოს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ბაზებში არსებული გრანტის მიმღებთან დაკავშირებული საგადასახადო ინფორმაციაზე წვდომის უფლება. მათ შორის, საგადასახადო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე წვდომის უფლება (დღგ-ს დეკლარაცია, საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია და სხვა).

2.2 მხარეთა განცხადებები და გარანტიები

ა) გრანტის მიმღები აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ: ამ ხელშეკრულების ხელმოწერით არ არღვევს კანონისმიერ ან სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ასევე სხვა პირის უფლებებს, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას და ისეთ ვალდებულებებს, რომლის დადგომაც მომავალში წინასწარ არის ან უნდა იყოს განსაზღვრული;

ბ) გრანტის მიმღები აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ პროექტის განხორციელებისათვის მოპოვებული აქვს ან ასეთი საჭიროების დადგომის შემთხვევაში მოიპოვებს ყველა ნებართვას/ლიცენზიას და გაივლის ყველა სავალდებულო პროცედურას თუკი ასეთის საჭიროებას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა;

გ) სააგენტო აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ არ გაამჟღავნებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც გრანტის მიმღების მხრიდან წინასწარი მითითებით შეიცვას კონფიდენციალურ ინფორმაციას. სააგენტოს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებისათვის, რომელზეც გრანტის მიმღებს არ ჰქონდა მითითებული კონფიდენციალურობის შესახებ ანდა მოთხოვნილი არ ჰქონდა სააგენტოს მხრიდან კონფიდენციალურობის დაცვა.

მუხლი 3. პროექტის ღირებულება და გრანტის ოდენობა

3.1 პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს .....00 ლარს („პროექტის მთლიანი ბიუჯეტი“).

3.2 საგრანტო თანადაფინანსება ხორციელდება შემდეგი პროპორციულობით:

ა) სააგენტო აფინანსებს პროექტის ღირებულების არაუმეტეს ...%-ს, რაც შეადგეს არაუმეტეს 100,000.00 ლარს;

ბ) გრანტის მიმღები აფინანსებს პროექტის ღირებულების არანაკლებ ....%-ს, რაც შეადგენს ..... ლარს. გრანტის მიმღების დაფინანსება არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფო გრანტის სახსრებს.

3.3 სააგენტო ვალდებულია 3.2. მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრანტი გასცეს დანართი #2-ით განსაზღვრული პროექტის ბიუჯეტის მიხედვით ნაწილ-ნაწილ ყოველკვარტალურ ტრანშებად.

3.4 გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი ტრანშის წინ დაადასტუროს თანადაფინანსება პროექტისთვის გამოყოფილ სპეციალურ საბანკო ანგარიშზე თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოსთვის წარდგენით. კონკრეტული ტრანშისთვის დეპონირებული თანხა უნდა შეადგენდეს 3.2. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროცენტს, რომელიც გამოითვლება დანართი #2-ით გათვალისწინებული ბიუჯეტის შესაბამისად და ამ ხელშეკრულების 6.2 მუხლის გათვალისწინებით, კვარტალში დასახარჯი ჯამური თანხიდან.

3.5 სააგენტო ვალდებულია 3.2. მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრანტი გასცეს დანართი #2-ით განსაზღვრული პროექტის ბიუჯეტის მიხედვით ნაწილ-ნაწილ ყოველკვარტალურ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი: .....
ბანკის კოდი: .....
მიმღები: .....
ანგარიში: GE.....

მუხლი 4. გრანტის სახსრების გამოყენების პირობები

4.1 გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის სახსრები გამოიყენოს მიზნობრივად დანართი #1 ის შესაბამისად.

4.2 გრანტის სახსრების გამოყენებისას მიზნობრივ ხარჯს წარმოადგენს ხარჯი, რომელიც:

ა) გაწეულია საგრანტო თანადაფინანსების ხელშეკრულების #2 დანართით გათვალისწინებული ბიუჯეტის შესაბამისად;

ბ) გაწეულია და გადახდილია პროექტის განხორციელების პერიოდში;

გ) ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად აღრიცხულია გრანტის მიმღების ბუღალტერიაში.

4.3 გრანტის სახსრების გამოყენებისას არამიზნობრივ ხარჯად მიიჩნევა:

ა) საგრანტო ხელშეკრულების #2 დანართით განსაზღვრული ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ყველა სხვა ხარჯი;

ბ) გაუთვალისწინებელი ხარჯი (მათ შორის, ხარჯები ან რეზერვები შესაძლო დანაკარგებისა ან დავალიანებებისათვის; კურსთაშორისი სხვაობებით გამოწვეული დანაკარგები; აგრეთვე ჯარიმები);

გ) დღგ-ს, მოგების და იმპორტის გადასახადი იმ შეღავათების შესაბამისად, რაც გრანტის მიმღებთათვის არის გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებით;

დ) პროექტის აქტივობები ან ბიუჯეტის პუნქტები, რომელიც უკვე დაფინანსებულია სააგენტოს ან სხვა სტრუქტურის, პროგრამის ან კომპანიის/დაწესებულების მეშვეობით (ორმაგი დაფინანსების თავიდან აცილება);

ე) გართობის და წარმომადგენლობითი ხარჯები;

ვ) ადგილმონაცვლეობის ხარჯები ან შეწირულობები;

ზ) მიწისა და შენობების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები.

4.4 გრანტის მიმღები ვალდებულია აწარმოოს გადახდები უნაღდო ანგარიშსწორების გზით და პროექტის მიზნებისათვის გაწეული ხარჯები მხოლოდ ამ პროექტის მიზნებისთვის გამოყოფილი სპეციალური ანგარიშიდან დაფაროს.

4.5 პროექტის განხორციელების მიმდინარეობისას გრანტის სახსრების არამიზნობრივი გახარჯვის შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია სააგენტოს შეტყობინების მიღებიდან 1 კვირის ვადაში პროექტის სპეციალურ ანგარიშზე მოახდინოს გაწეული არამიზნობრივი ხარჯის ოდენობის თანხის დეპონირება. სააგენტო უფლებამოსილია შეაჩეროს დაფინანსება, გრანტის მიმღების მიერ არამიზნობრივი ხარჯის დეპონირებამდე.

მუხლი 5. გრანტის სახსრებიდან შესყიდვების განხორციელება

5.1 გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის სახსრებიდან შესყიდვების განხორციელებისას დაიცვას თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელოს 3.1. ქვეთავით განსაზღვრული წესები.

5.2 გრანტის მიმღები ვალდებულია მესამე პირებთან, მიმწოდებლთან და კონტრაქტორებთან ხელშეკრულებაში, გაითვალისწინოს პირობა, რომლის მიხედვითაც სააგენტოს, ან მის მიერ დანიშნულ აუდიტორებს, ექნებათ უფლება, შეამოწმონ შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ანგარიში, ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი.

მუხლი 6. პროექტის განხორციელება

6.1 პროექტის განხორციელების ვადა შეადგენს .... თვეს და ათვლა იწყება სააგენტოს მიერ პირველი ტრანშის გადარიცხვის მომენტიდან.

6.2 პროექტის განხორციელებისას, მათ შორის, ანგარიშების წარდგენასთან, მონიტორინგის წესებთან, ხარჯვასა და ნაშთებთან დაკავშირებით გამოიყენება თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელოს მე-6 თავით გათვალისწინებული წესები.

6.3 პროექტის ნებისმიერი სახის არსებითი ცვლილება, მათ შორის, პროექტის დასრულების გადავადება, ან ეტაპების შეუსრულებლობა, საჭიროებს სააგენტოს წინასწარ წერილობით თანხმობას. ბენეფიციარს უფლება აქვს მოითხოვოს პროექტის განხორციელების გადავადება 3.2 მუხლით „ა“ პუნქტით გათვალისწინებული თანხის გაზრდის გარეშე. სააგენტო უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს ისეთი ცვლილების მოთხოვნა, რომელიც არ იქნება სათანადოდ დასაბუთებული.

6.4 განხორციელების ვადის ამოწურვის შემდეგ გრანტის მიმღები ვალდებულია სააგენტოს მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში დააბრუნოს დაუხარჯავი ნაშთი და ასეთის არსებობის შემთხვევაში სააგენტოს ან აუდიტორების მიერ შემოწმების შედეგად აღმოჩენილი არამიზნობრივი ხარჯები.

6.5 გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში აღმოჩენილი დარღვევის/ხარვეზის შემთხვევაში, სააგენტო შეაჩერებს დაფინანსებას გრანტის მიმღების მიერ მის აღმოფხვრამდე. ასეთ შემთხვევაში გრანტის მიმღები ვალდებულია სააგენტოს შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის ვადაში აღმოფხვრას შეტყობინებაში განსაზღვრული ხარვეზი. თუკი აღნიშნულ ვადაში არ მოხდება ხარვეზის გამოსწორება, სააგენტო უფლებამოსილი იქნება შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მე-7 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის პირობები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ..... ვადით და მოქმედებს 202... წლის .....-მდე.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ორმხრივად შეწყდეს მხარეთა პატივსადები საფუძვლების არსებობისას ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში გრანტის სახსრებიდან დახარჯული და სააგენტოს მიერ დადასტურებული, მიზნობრივად დახარჯული სახსრები არ ექვემდებარება სააგენტოსთვის დაბრუნებას. სააგენტოს უბრუნდება ის სახსრები, რომლებიც ხელშეკრულების ორმხრივად შეწყვეტის მომენტისათვის გრანტის მიმღების მიერ არ იყო დახარჯული.

7.3 7.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში გრანტის მიმღები ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს სახელმძღვანელოს მე-6 თავით გათვალისწინებული ანგარიშები ამავე თავში გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

7.4 წინამდებარე ხელშეკრულება სააგენტოს მიერ შეიძლება შეწყდეს ცალმხრივად, წინასწარ 14 დღიანი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) გრანტის მიმღებმა საჭიროებისამებრ დროულად ვერ უზრუნველყო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, რაც ასევე გულისხმობს ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხების დეპონირებას შესაბამის ვადებში.

ბ) გრანტის მიმღებმა ვერ შეძლო დაფინანსების გამოყენება მიზნობრივად, დანართი 2-ში მოცემული ბიუჯეტის შესაბამისად.

გ) გრანტის მიმღებმა სააგენტოს წინასწარი თანხმობის გარეშე ერთი ან რამდენიმე საბიუჯეტო კატეგორიისთვის შეთანხმებულ ბიუჯეტს გადააჭარბა 15%-ზე მეტით.

დ) გრანტის მიმღებმა ვერ შეძლო პროექტის განხორციელება სათანადო გულმოდგინებითა და ეფექტურობით და თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელოთი დადგენილი ინსტრუქციების შესაბამისად (მათ შორის მიაწოდა სააგენტოს მცდარი/ყალბი ინფორმაცია განაცხადის შემოტანის, შეფასების ან განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ადგილი ჰქონდა თაღლითობას ან უხეშ გადაცდომას.

ე) გრანტის მიმღებმა ვერ შეძლო განეხორციელებინა პროექტი საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) გრანტის მიმღებმა ვერ შეძლო სათანადოდ დაეცვა სააგენტოს მიერ პროექტის პროგრესის და მისი მიზნების განხორციელების მონიტორინგისთვის საჭირო პროცედურები.

ზ) გრანტის მიმღებმა ვერ შეძლო სათანადოდ დაეცვა ფინანსური აღრიცხვის და მართვის პრინციპები და მოემზადებინა ფინანსური ანგარიშები თანმიმდევრულად გამოყენებული საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე ადეკვატურად ვერ ასახა პროექტთან დაკავშირებული ოპერაციები, რესურსები და დანახარჯები.

თ) გრანტის მიმღების ბრალეულობით ან უხეში გადაცდომის გამო, სააგენტომ ვერ განახორციელა გრანტის მიმღების ფინანსური ანგარიშების აუდიტი, სააგენტოსათვის მისაღები დამოუკიდებელი აუდიტორების საშუალებით, თანმიმდევრულად გამოყენებული აუდიტის სტანდარტების შესაბამისად და ამგვარად ვერ შეძლო სააგენტოსათვის აუდიტირებული ანგარიშების დროულად მიწოდება.

ი) გრანტის მიმღებმა არ მისცა შესაძლებლობა სააგენტოს ჩაეტარებინა პროექტის განხორციელების, მისი მუშაობის, და შესაბამისი ჩანაწერების და დოკუმენტაციის ინსპექტირება. არ მოამზადა და სააგენტოს არ მიაწოდა იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც სააგენტო დასაბუთებულად მოითხოვდა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

კ) გრანტის მიმღებმა არ მოახდინა სააგენტოს ინფორმირება პროექტში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით (მაგ. პროექტის განხორციელებასთან, ვადებთან, პროექტის ბიუჯეტთან, წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან, პროექტის პერსონალთან დაკავშირებით და ა.შ.).

7.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში სააგენტოს დაუბრუნოს ის თანხა, რაც საგრანტო დაფინანსების სახით მიიღო სააგენტოსგან - გარდა სააგენტოს მიერ მიზნობრივად აღიარებული ხარჯისა. იგივე წესი გამოიყენება გრანტის მიმღების ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში.

მუხლი 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. გრანტის მიმღები გრანტის სახსრების გამოყენებისას, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვისას და საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისას, ვალდებულია დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

8.2 მხარეთა შორის წარმოშობილ ნებისმიერ დავას, რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით, განიხილავს საქართველოს სასამართლო.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1 ხელშეკრულებას დანართად ერთვის დანართი №1 „ბიზნეს გეგმა“, დანართი №2 „პროექტის შეთანხმებული ბიუჯეტი“.

9.2 დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3 ცვლილებები ან/და დამატებები ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება გამოცხადდება ბათილად ან ძალადაკარგულად, ეს ზეგავლენას არ იქონიებს სხვა დარჩენილი ვალდებულებების ნამდვილობაზე. მხარეებმა მსგავსი ბათილი ან ძალადაკარგული ვალდებულება უნდა ჩაანაცვლონ სხვა მაქსიმალურად მიახლოებული შინაარსის (არსებითად იგივე ეფექტის მქონე) ვალდებულებით.

9.5 წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის შეტყობინება თუ კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობით ანდა ელექტრონული ფორმით კომუნიკაციის სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების და დადასტურების საშუალებას (მეილების ან სააგენტოს გრანტების პორტალის მეშვეობით). წერილობითი ფორმით განხორციელებული შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად იმ შემთხვევაში, თუ ჩაბარდება საფოსტო კურიერის მეშვეობით მხარის ქვემოთ მითითებულ მისამართზე (ან ამავე პუნქტის შესაბამისად გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე) ხელზე ჩაბარების დღეს.

თუ შეტყობინება ეგზავნება გრანტის მიმღებს: საქართველო, ...

ელ. ფოსტა: .....

თუ შეტყობინება ეგზავნება სააგენტოს: ინოვაციების ქ. 7, 0114, ოქროყანა, ქ. თბილისი. ელ. ფოსტა: contact@grants.gov.ge;

9.6 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. ერთი გადაეცემა გრანტის მიმღებს, ერთი რჩება სააგენტოსთან.

9.7 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს სახელით	შპს ……-ს სახელით
ავთანდილ კასრაძე	
_____	_____